სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის
აკადემიური საბჭო
დადგენილება №01-05-04/121

ქ. თბილისი 27 ივლისი 2023წ

**საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორ, აკადემიკოს ელგუჯა მეძმარიაშვილის გიორგი ნიკოლაძის სახელობის მედლით დაჯილდოების შესახებ**

„უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 21-ე მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 9 სექტემბრის №133/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდების" მე-8 მუხლის და აკადემიური საბჭოს 2023 წლის 27 ივლისის №01-05-02/28 ოქმის საფუძველზე **საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიურმა საბჭომ დაადგინა:**

1. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტში ხანგრძლივი და ნაყოფიერი პედაგოგიური მიღწევებისთვის, ახალგაზრდების აღზრდაში გაწეული დიდი წვლილისთვის, ღირსებისა და ვახტანგ გორგასლის I ხარისხის ორდენების კავალერი, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აკადემიკოსი, აკადემიკოს-მდივანი, სტუ-ის პროფესორი, გენერალ-მაიორი ელგუჯა მეძმარიაშვილი დაჯილდოვდეს გიორგი ნიკოლაძის სახელობის მედლით;
2. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს გამოქვეყნებიდან 1 თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის მეშვეობით, მდებარე : ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ, №64.

**აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე** **დ. გურგენიძე**

**აკადემიური საბჭოს მდივანი** **ი. კუტუბიძე**